საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილდამუსა

ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხაში. იხსენიება ურარტუს მეფე სარდურ II-ის მატიანეში, სადაც საუბარია, თუ როგორ გაილაშქრა მან კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ, ბრძოლით დაიპყრო და გადაწვა მისი სამეფო ქალაქი, გაჟლიტა მოსახლეობა, დახოცა კოლხას მეფის ნაცვლები და ი-ში წარწერა დადგა.

ი-ზე ნათქვამია, რომ ის სამეფო ქალაქია. ამაში აუცილებლად დედაქალაქი არ იგულისხმება, თუმცა ის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.